დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის
სამეურვეო საბჭოს სხდომაზე
ოქმი N5. 04.07.2023წ

2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

2023 წელი

შესავალი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტარტეგიული გეგმის მიზანია, განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

სტრატგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრუქტრული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება(SWOT ანალიზი) და ამ პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამ პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული ჩატარებული გამოკითხვები სკოლის ბენეფიციართა და თანამშრომელთა კმაყოფილების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომელთა მონაწილეობით გადაიხედა არსებული ხედვა და მისია.

სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. სკოლის სტარტეგიული გეგმის და 2023 წლის სამოქმედი გეგმის პროექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინშეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. ჩატარებულ ონლაინ შეხვედრებს 150-ზე მეტი პირი დაესწრო. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ სკოლის სტარტეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა მათი უკუკავშირი.

სკოლის მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა (შემდგომში – სკოლა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისთვის სრული ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად დაფუძნდა. იგი ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას. ახორციელებს შესაბამის საქმიანობას. სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა,ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დაფუძნდა.

სკოლის ისტორია სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქალაქში საავტომობილო ქარხნის მშენებლობასთან

1945 წლის 5 მაისს იოსებ სტალინმა ხელი მოაწერა დადგენილებას ქუთაისში საავტომობილო ქარხნის მშენებლობის შესახებ. ეს ქარხანა მრავალი მნიშვნელოვანი საქმის ფუძემდებელი აღმოჩნდა.

ავტოქარხნის მშენებლობასთან და მერე ქარხნის მუშაობის წარმართვასთან დაკავშირებით სპეციალისტების მომრავლებამ აუცილებელი გახადა ქარხნის ტერიტორიაზე სკოლების აშენება. ასე დაარსდა ამ უბანში პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება - ქუთაისის რუსული მე-14 საშუალო სკოლა. არქივში დაცული მასალები ადასტურებს, რომ განათლების სამინისტროს შეთანხმების საფუძველზე 1944 წელს გაიხსნა სკოლის მხოლოდ პირველი კლასი, რომელსაც საავტომობილო ქარხნის დასავლეთი დასახლების ერთ-ერთი საცხოვრებელი ბარაკი დაეთმო.

საავტომობილო ქარხნის სწრაფმა ზრდამ მოსწავლეთა რაოდენობაც მნიშვნელოვანად გაზარდა. აუცილებელი გახდა ახალი სკოლისათვის შენობის აგება. და 1953 წელს აშენდა ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლა (ამჟამად არსებული შენობა). სკოლა ამ ეტაპზე უკვე ორენოვანი (ქართულ-რუსული) იყო, აქ ერთმანეთის გვერდით სწავლობდნენ არა მარტო რუსი და ქართველი ბავშვები, არამედ უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ტაჯიკები, თურქმენები, ბოშები.

მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ სკოლის შენობა მოსწავლეთა რაოდენობას ვეღარ იტევდა და მაშინდელი აღმასკომის გადაწყვეტილებით სკოლას მიემატა ახალი კორპუსი. 1997 წელს მე-14 სკოლა ისევ ქალაქის ხელმძღვანელობის რეფორმებს დაემორჩილა და ერთი სკოლის ბაზაზე შეიქმნა 2 სკოლა: ქართულენოვანი - მე-6, ხოლო მე-14 სკოლა ისევ რუსულენოვანი დარჩა. ასე „ცხოვრობდა“ ერთ ჭერქვეშ ორი სასწავლებელი 1999 წლამდე, შემდეგ სკოლები ისევ გაერთიანდა, ისევ დაიბრუნა ორენოვანი სკოლის სტატუსი და ნომერი „14“.

ასე განაგრძობს ქუთაისში ცხოვრებას საგანმანათლებლო და სააღმზრდელო კერა ახალი სტატუსით - სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლა

2010 წლიდან სკოლა სრულად ქართული სკოლაა, სადაც მხოლოდ ქართული სექტორი ფუნქციონირებს. სკოლა დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. სკოლა შექმნილია სახელმწიფო ქონების საფუძველზე და მის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, ანგარიში ბანკში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა.

სოციოკულტურულ ჭრილში არსებული ელემენტების ანალიზი

სოციოკულტურული კონტექსტში არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ზრდასა და განვითარებაზე. მათ შორის მთავარია:

ოჯახი

მშობლები და და-ძმები, თუ ისინი ჰყავთ, ადამიანის პირველი გარემოა. ცნებები, ქცევა და წეს-ჩვეულებები, რომლებიც ადრეულ ბავშვობაში შეიძინა, ქმნის პიროვნების პიროვნების საფუძველს.

სკოლა

საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ბავშვს ამზადებენ, არის კიდევ ერთი ფუნდამენტური სოციოკულტურული კონტექსტი, რომელშიც ინტელექტუალური ცოდნა იძენს, ასევე ისწავლება მორალური და ეთიკური ფასეულობები და საზოგადოების ნორმების პატივისცემა.

მეგობრები

ინდივიდის ზრდასთან ერთად იგი აფართოებს თავის სოციალურ ურთიერთობებს და მეგობრობას ამყარებს თანატოლებთან, რაც ასევე ხელს უწყობს მის განვითარებას. მოზარდობის პერიოდში ეს კავშირები სირთულესა და მნიშვნელობას იძენს, რაც სწავლის ახალ გზებს ქმნის. გარდა ამისა, მეგობრები ერთმანეთზე სხვადასხვა გზით ახდენენ გავლენას, ხელს უწყობენ ქცევის განმტკიცებას და საკუთარი პიროვნების გაყალბებას.

რელიგია

რელიგიები ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და მათ ტრადიციებზე. მათში შედის მორალური და ქცევითი ნორმები, რომლებსაც შეუძლიათ პიროვნების აზროვნებისა და მოქმედების წესი განაპირობონ.

სოციალური კლასი

ამ მხრივ განსაზღვრულ როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური დონე, როგორც ოჯახი, ასევე საზოგადოება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. თითოეული სოციალური კლასი გთავაზობთ სხვადასხვა შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასთან, შემოსავალთან, განათლებასთან, უსაფრთხოებასთან და ძირითად სარგებელთან, როგორიცაა საკვები, საცხოვრებელი სახლი და ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა, რომლებიც ქმნიან გარემოს, რომელშიც ადამიანი იზრდება.

კულტურა

ენა, ჩვეულებები, ტრადიციები, ცოდნა, ხელოვნება და საზოგადოებაში არსებული ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი გავლენას ახდენს პიროვნების განვითარებაზე და მათ მოქმედებასა და აზროვნებაზე.

I თავი. სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები

სკოლის ხედვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა არის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა. სკოლა 2030 წლისთვის იმერეთის რეგიონში იქნება ინტერნაციონალიზაციის კუთხით გამორჩეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნაირანი, თავისუფალი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას.

მისია

გარე და შიდა ფაქტორების სისტემატიური ანალიზით, მოსწავლეთა საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული საათობრივი ბადითა და უნიკალური შეფასების სისტემის დანერგვის გზით, სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ხელს უწყობს ისეთი უნარების გამომუშავებას, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება აქტუალური შესაძლებლობების მიღმა არსებული ამოცანების გადაჭრაში; სკოლა ხელს უწყობს ზრუნვის, სწავლისა და კვლევის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მიღებული ცოდნა და ღირებულებები ეპოქის/დროის შესატყვისია.

ღირებულებები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის ღირებულებებია:

- ✓ სამართლიანობა
- ✓ გუნდურობა
- ✓ ზრუნვა
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ სკოლისადმი ერთგულება
- ✓ გამოცდილების გათვალისწინება და სიახლეების მიმართ ღიაობა

სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირებისსაუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

სამართლიანობა: ჩვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება მიღებულია სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, განხორციელებული შეფასებები, ასევე თვითშეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს მონაწილე პირების სუბიექტივიზმს და არ ტოვებს უსამართლობის განცდას.

გუნდურობა: ჩვენ გადაწყვეტილებებს ვიღებთ გუნდურად, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით.

ზრუნვა: ჩვენთვის მთავარია ადამიანი. ვქმნით მზრუნველ გარემოს, რისთვისაც ყველა გადაწყვეტილებას ვიღებთ მხოლოდ მხარდამჭერის პოზიციიდან.

გამჭირვალობა: ჩვენს საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

სკოლისადმი ერთგულება: ჩვენ ვაცნობიერებთ ჩვენი სკოლის წარსულს, მნიშვნელობას და პრესტიჟს ჩვენს თემში. ამიტომ მუდმივად ვრჩებით სკოლის ერთგულნი და ყველა გადაწყვეტილებას ვიღებთ

მხოლოდ სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე.

მიუკერძოებლობა: ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

გამოცდილების გათვალისწინება და სიახლეების მიმართ ღიაობა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

გაცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- ✓ ჩვენთვის უპირველესია ბავშვის სიყვარული
- ✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- ✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- ✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- ✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა;
- ✓ ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- ✓ ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს;
- ✓ ჩვენ ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;
- ✓ ჩვენ ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
- ✓ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ✓ ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ✓ ჩვენ ვართ პროცესებზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს.

სკოლის ლოგო:

სკოლის ლოგოს განმარტება:

არსებული სიტუაციის ანალიზი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი. იგი ამჯერად ახლად რეაბილიტირებულია, სკოლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლაში შექმნილია პოზიტიური, წამახალისებელი ინფრასტრუქტურა. მოსწავლეებს მოსწონთ და უფრთხილდებიან მას. სკოლაში შემოსული ნებისმიერ ადამიანი აღნიშნავს ამას. მშობლები სკოლის შერჩევისას ერთ-ერთ ფაქტორად, სწორედ ამას ასახელებენ. სკოლა აღჭურვილია უახლესი საინფორმაციო ლაბორატორებით, ბიბლიოთეკით, ღია და დახურული სპორტული მოედნებითა და უსაფრთხო და კომფორტული სასწავლო გარემოთი. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული შედეგების გათვალისწინებით. სკოლაში ადამინიტრაციის წარმომადგენლები, ასევე სკოლის 3 მასწავლებელი არიან ამავდროულად სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი მიმართულების ექსპერტები/განათლების ხარისხის სპეციალისტები/საგნობრივი ექსპერტები და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები. მათ აქვთ შესაბამისი კომპეტენციები ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები და დაეხმარონ მასწავლებლებს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიულ წარმატებაში. ასევე თავად ჩაატარონ პრაქტიკული კვლევები და გაუწიონ დახმარება სხვა თანამშრომლებს. სკოლაში პრიორიტეტია მოსწავლეზე ზრუნვა და სწავლა-სწავლების მეთოდები. სასწავლო პროცესი არის 21-ე საუკუნის მოსწავლის საჭოროებებზე და უნარებზე მორგებული. ჩვენი მიზანია ხარისხიანი განათლებით ყველა მოსწავლეს თანაბრად მისცეს შესაძლებლობა მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს. არაფორმალური განათლების საშუალებების გამლიერებით ასწავლოს მათ განსხვავებული აზრის და კულტურის პატივისცემა და აღზარდოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი, დემოკრატიული

ფასეულობების მომხრე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელიც მზად იქნება საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები და ფასეულობები.

SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი განსაზღვრავს:

იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;

იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;

ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისი უკეთესად გამოყენება მომავალში შესაძლებელია;

აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს სიძლიერე

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
პროფესიონალიზმი გუნდურობა მზრუნველი გარემო მასწავლებელთა პროფესიონალიზმი სიახლეების მიმღებლობა თანამშრომლობა რეაბილიტირებული ფიზიკური გარემო სკოლის ისტორიული წარსული წინსვლასა და სიახლეებზე ორიენტირებული მენეჯმენტი	სასკოლო წრეებისა და კლუბების სიმცირე არაფორმალური განათლების ნაკლები შესაძლებლობა სააქტო დარბაზის არარსებობა მშობელთა ჩართულობა დამხმარე პერსონალი ეკონომიკური საქმიანობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირი უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა წარმატებული კურსდამთავრებულები	კონკურენტული გარემო საკანონმდებლო ცვლილებები არაპროგნოზირებადი გარემო

სკოლა თანამშრომლობს სხვა საჯარო სკოლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის მიერ დაფუძნებულ ცენტრებთან: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან და სხვა), სახელმწიფო უწყებებთან - ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა. გარე პარტნიორებს სკოლა განიხილავს როგორც შუამავალს მათსა და სკოლის ბენეფიციარებს შორის. ხოლო მედია ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის გავრცელებას. სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. ამ მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სახელმწიფო უწყებებთან, უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა ბაზარზე იკავებს მნიშვნელოვან და კონკურენტუნარიან პოზიციას, რაც გამოწვეულია, მისი მრავალმხრივი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით.

ბიბლიოთეკა - ბიბლიოთეკა მოსწავლეებს და თანამშრომლებს სთავაზობს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდურილიტერატურის კოლექციას, ასევე ელექტრონული წიგნებისა და ჟურნალებს და სამკითხველო დარბაზს.

ლაბორატორიები - სკოლა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები. ყველა მოსწავლე, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, გადის პრაქტიკულ სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რესურსის გამოყენებას. ლაბორატორიებში მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც ხელს უწყობს შესწავლილი პროგრამის გაღრმავებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას. სწორედ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოების სინთეზის საფუძველზე, ლაბორატორიების სამომავლო განვითარება ითვალისწინებს სკოლის საჭირო ტექნიკით აღჭურვას, რაც გაუადვილებს მოსწავლეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გაღრმავებას.

სპორტული მოედანი - სკოლის ერთ-ერთი უმნიშველოვანესი პრიორიტეტია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. ღია სპორტული მოედანი და დახურული სპორტული დარბაზი სადაც სკოლის სპორტული აქტივობები ტარდება, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იმისათვის რომ სპორტული მოედნები მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული და არ მოხდეს მათი უქმად მოცდენა, გარდა იმ საათებისა, როდესაც მოედანი ეთმობა სკოლის მოსწავლეების სპორტულ აქტივობებს, დანარჩენ დროს ვგეგმავთ მის დროებით გაქირავებას.

სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი

სამედიცინო ოთახი ემსახურება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმი ნებისმიერ მსურველს უწევს კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

რესურს ოთახი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის შექმნილი გარემო, სადაც მოსწავლეები იღებენ საკუთარ საჭიროებაზე მორგებულ მომსახურეობას.

ადამიანური რესურსი სკოლა ამაყობს თავისი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, რომელიც თვითგანვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. სკოლა ზრუნავს თანამშრომლებისა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებაზე.

თავი II. სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით

ამოცანა 1.1: უზრუნველყოფილია სკოლის საჭიროებებზე მორგებული ორგანიზაციული მოწყობა და მისი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა

ამოცანა 1.2: სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის პოლიტიკა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ორიენტირებულია სკოლის განვითარებასა და ეფექტურ მუშაობაზე

ამოცანა 1.3: უზრუნველყოფილია რესურსების რაციონალური დაგეგმვა/გამოყენება და გაზრდილია სკოლის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი

ამოცანა 1.4: სკოლის საქმიანობა მიმდინარეობს გამჭირვალედ, დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

ამოცანა 1.5: სკოლაში დანერგილია საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ამოცანა 1.6: სკოლის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპის გათვალისწინებით

ამოცანა 1.7. სკოლის თვითმმართველი ერთეულების მუშაობის ხელშეწყობა

ამოცანა 1.8. სკოლის ეფექტიანი ფინანსურ მართვა. ფანდრაიზინგი

ამოცანა 1.9. პერსონალის პროფესიული განვითარება

ამოცანა 1.10. სკოლის მოვლა-პატრონობა

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ სკოლა იქნება ინსტიტუციურად მდგრადი დაწესებულება
- ✓ არსებული რესურსები იქნება ეფექტურად გამოყენებული
- ✓ სკოლა უპასუხებს მისიაში დასმულ მიმართულებებს
- ✓ გაიზრდება გადაწყვეტილებების მიღებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

ძირითადი რისკები

- ✓ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.
- ✓ სკოლაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები.
- ✓ დაფინანსების ცვლილება

გარე პარტნიორები

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ✓ ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი № 2: სკოლა აქტიურად იყენებს საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას

ამოცანა 2.1: სკოლა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის დროს ითვალისწინებს საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას
ამოცანა 2.2: სკოლა ხელს უწყობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის დადებითად წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ სკოლა განვითარებისთვის გამოიყენებს ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების შედეგებს რაც კონკურენტუნარიანს გახდის სკოლას

ძირითადი რისკები:

- ✓ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ✓ განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.
- ✓ სკოლაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები.
- ✓ დაფინანსები ცვლილება

გარე პარტნიორები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ✓ ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი №3: სკოლის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია

ამოცანა 3.1: სკოლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისები შინაარსობრივად და პროცედურულად გამართულია
ამოცანა 3.2: გამარტივებული საქმისწარმოების ადმინისტრაციული პროცედურების შედეგად გაუმჯობესებულია სკოლის სერვისების მიწოდების ხარისხი
ამოცანა 3.3: დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებულია სკოლის მხარდამჭერი სერვისები

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ სკოლა იქნება მოქნილი
- ✓ სკოლის სერვისები ადვილად იქნება ხელმისაწვდომი
- ✓ სკოლა მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული მომხმარებლის საჭიროებებზე

ძირითადი რისკები:

- ✓ განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.
- ✓ სკოლაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები.
- ✓ დაფინანსები ცვლილება
- ✓ ეკონომიკური მდგომარეობა

გარე პარტნიორები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ✓ ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი № 4: დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს

ამოცანა 4.1: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ხელს უწყობს ავტორიზაციის პროცესის გამჭვირვალეობას და ზრდის მიღებული ზოგადი განათლებისადმი სანდოობას
ამოცანა 4.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ სკოლა იქნება ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ✓ სკოლა უპასუხებს განათლების სფეროს მიმდინარე გამოწვევს

ძირითადი რისკები:

- ✓ განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება;
- ✓ სკოლაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები;
- ✓ დაფინანსები ცვლილება;
- ✓ მოსწავლეთა მოძრაობა;
- ✓ ეკონომიკური მდგომარეობა;

გარე პარტნიორები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;

- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ✓ ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიული მიზანი №5: სკოლის დამეგობრება სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გამოცდილების ურთიერთგაცვლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ამოცანა 5.1. კომუნიკაციის დამყარება პოლონეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
ამოცანა 5.2. გამოცდილების ურთიერთგაცვლა და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა
ამოცანა 5.3. გაცვლითი პროგრამების ამუშავება
ამოცანა 5.4 პოლონეთის კულტურის ცნობადობის ამაღლება

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ სკოლა იმერეთის რეგიონში ინტერნაციონალიზაციის კუთხით გამორჩეული
- ✓ სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას საერთაშორისო კუთხით
- ✓ სკოლა იქნება თანადროული და ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული

ძირითადი რისკები:

- ✓ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ✓ განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება;
- ✓ სკოლაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები;
- ✓ დაფინანსები ცვლილება;
- ✓ მოსწავლეთა მოძრაობა;
- ✓ ეკონომიკური მდგომარეობა;

გარე პარტნიორები:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებები;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;
- ✓ ქართული და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.
- ✓ განათლების სფეროს ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები;

III თავი. სკოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სკოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად. სკოლის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამაბელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება პირველი სემესტრის ბოლოს შედეგად მუშავდება 2 ტიპის ანგარიში: შუალედური და წლიური ანგარიში. წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების, ანგარიშები ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე სკოლის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული ვადების შესაბამისად.